

შპს Bau -Tech Georgia

ფინანსური ანგარიშგება


(2022 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით)

დირექტორი



ვახტანგ ჯარელი

ფინანსური მენეჯერი



ნუხარიონ აბესაძე

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ბარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	14
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	15
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16
8. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები).....	16
9. მარაგები	16
10. ძირითადი საშუალებები	17
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	18
13. ფინანსური ინსტრუმენტები	19
14. ამონაგები	19
15. სხვა შემოსავლები	19
16. სხვა ხარჯები	20
17. მოგება/(ბარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა.....	20
18. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები	21
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	21
20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	22


დირექტორი ----- ვახტანგ ქარელი


ფინანსური მენეჯერი ----- ბესარიონ აბესაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31/12/2021	31/12/2020	31/12/2022
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	402686	279556	154169
სავაჭრო მოთხოვნები	7	86475	1126692	931138
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		46000	46000	
მარაგები		1841863	961385	2726659
- მზა პროდუქცია				
- სხვა	9	1841863	961385	2726659
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები		5380	2200	7033
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	588523	561874	485173
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		3703202	2977707	4304172

ვალდებულებები				
იჯარის ვალდებულება	11	(73073)	(10918)	(44264)
სავაჭრო ვალდებულებები	12	(668400)	(437490)	(642254)
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	8	(31565)	(46556)	(123575)
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	(548060)	(620755)	(942408)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		(47942)	(111377)	
სულ ვალდებულებები		(1369040)	(91227096)	(1752501)

დირექტორი  ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი  ბესარიონ აბესაძე


შ.პ.ს. „Bau-Tech Georgia“ ს.კ. 4000032/8

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(2287616)	(1704068)	(2505128)
გადაფასების რეზერვი	(46543)	(46543)	(46543)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(2334162)	(1750611)	(2551671)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(3703202)	(2977707)	(4304172)
სულ მოკლევადიანი აქტივები	3182149	2418498	3818999
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(1369015)	(491199)	(810094)

**მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		12/31/2021	12/31/2020	12/31/2022
ნეტო ამონაგები		25970995	21033919	32065969
საქონლის გაყიდვიდან	15	25919194	21006197	31957364
მომსახურების გაწევიდან	15	51801	27722	108605
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
სხვა				

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(22528657)	(18459515)	(27330498)
თვითღირებულება		(22528657)	(18459515)	(27330498)
საწყისი მარაგები	9			
მარაგების შესყიდვა	9			
გადამუშავების დანახარჯები				
საბოლოო მარაგები				
საერთო მოგება		3442338	2574404	4735471

დირექტორი  **ვახტანგ ქარელი**

ფინანსური მენეჯერი  **ბესარიონ აბესაძე**

სხვა შემოსავალი	16		330370	
დასაქმებულთა ანაზღაურება		(907444)	(663067)	(1035709)
ცვეთა და ამორტიზაცია		(66100)	(43154)	(213387)
საპროცენტო შემოსავალი		5438	8652	2458
საპროცენტო ხარჯი		(59682)	(66134)	(51672)
იჯარის ხარჯი		(472436)	(252683)	(506079)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(445001)	(256941)	(553705)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1945225)	(942957)	(2358094)

საოპერაციო მოგება		1497113	1631447	2377377
-------------------	--	---------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:				
ფინანსური აქტივები (გაუფასურება)	19	(65895)	(42329)	(76438)
მარაგები (გაუფასურება)	19	(2077)	(2657)	(39021)
სხვა არაფინანსური აქტივები (გაუფასურება)				

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		71263	(113931)	104989
მიღებული დივიდენდები				
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		390152	(9255)	(638472)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1890556	1463275	3005379
მოგების გადასახადი		(196051)	(210417)	(418179)
მოგება/(ზარალი)		1694505	1252858	2587200

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა				
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1694505	1252858	2587200

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1750611	1690108	2334162
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1110954)	(1192355)	(2369691)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			1252858	
კაპიტალის სხვა ცვლილებები				-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2334162	1750611	2551671

დირექტორი - ვახტანგ ქარელი


ფინანსური მენეჯერი - ბესარიონ აბესაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

	12/31/2021	31/12/2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1253715	1471788
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	176420	955198
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1307005)	(2675503)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(123130)	(246137248517)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	279556	402686
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	402686	154169

7-23 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი



ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი



ბესარიონ აბესაძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Bau-Tech Georgia (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის აპრილს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი დავით ყაზაიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თაბაშირ-მუყაოს სისტემებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ხოშარაულის ქუჩა #27

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალებულად, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე4-5 შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს.

დირექტორი ----- ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი ----- ბესარიონ აბესაძე

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეხუთე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

დირექტორი  ვახტანგ ქარელი
ფინანსური მენეჯერი  ბესარიონ აბესაძე

აშშ დოლარი ევრო

კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
ძირითადი საშუალებები

2.7020 2.8844

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	10
მანქანა-დანადგარები	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

დირექტორი ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი ბესარიონ აბესაძე

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შენონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

დირექტორი

ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი

ბესარიონ აბესაძე

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ბარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ბარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ბარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

დირექტორი  ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი  ბესარიონ აბესაძე

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი განეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

დირექტორი ----- ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი ----- ბესარიონ აბესაძე

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები განეწესთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი


მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ განეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა და გაიცა დივიდენდები.

დირექტორი  ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი  ბესარიონ აბესაძე

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც


შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დირექტორი



ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი

ბესარიონ აბესაძე

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	367002	246171	117042
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	35684	33385	39506
სულ	402686	279556	156548

დირექტორი ვახტანგ ქარელი
ფინანსური მენეჯერი ბესარიონ აბესაძე

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022	2020	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	928758	1059192	873357

კომპანიამ აღიარა გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნებიდან შემოსავალი 2208.82 ლარის ოდენობით

8. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)

	2022	2020	2021
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	-123,575.00	-46,555.00	-31,565.00

9. მარაგები

	2022	2020	2021
საქონელი	2726659	961385	1841863
სხვა	7033	2200	5380
სულ	2733692	963585	1847243

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2726659 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 39021 ლარი.

დირექტორი ვახტანგ ქარელი
ფინანსური მენეჯერი შესარიონ აბესაძე

10. ძირითადი საშუალებები

შიფრი	2150	2160	2170	2180	2155	2190	ჯამი
31/12/2021	179819.05	71443.43	15635.34	155705.93	232247.44	112398.81	767250.00
შემოსვლა	183050.85	4479.51	6610.41	5030.00	0.00	3509.67	202680.44
გადაფასება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გასვლა	-6561.60	-848.78	-667.03	-80476.69	-232247.44	-15412.72	-336214.26
31/12/2022	356308.30	75074.16	21578.72	80259.24	0.00	100495.76	633716.18

ცვეთა და გაუფასურება

შიფრი	2250	2260	2270	2280	2255	2290	ჯამი
31/12/2021	-33873.79	-26720.83	-5503.64	-11198.21	-76008.80	-25422.08	-178727.35
პერიოდის ამორტიზაცია	-23673.50	-13394.79	-3518.75	-10920.48	-156247.80	-5631.22	-213386.54
გასვლა(ელიმინ ირება)	410.10	848.78	667.03	5030.00	232256.60	4366.94	243579.45
31/12/2021	-57137.19	-39266.84	-8355.36	-17088.69	0.00	-26686.36	-148534.44

ნეტო საბალანსო ღირებულება

შიფრი	2150	2160	2170	2180	2155	2190	ჯამი
31/12/2022	299171.10	35807.32	13223.36	63170.55	0.00	73809.40	485181.73

დირექტორი

ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი

ბესარიონ აბესაძე

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2020	2021
სავაჭრო ვალდებულებები	582537	390054	685969
მიღებული ავანსები	103981	58354	55504
სულ	686518	448408	741473

12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

	2022	2020	2021
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	942408	732133	596002
სულ	942408	732133	596002

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხს(საკრედიტო ხაზები), რომელიც ნაწილობრივ დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში. პროცენტის დარიცხვა და გადახდა ხდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს ფაქტიურად ათვისებული საკრედიტო რესურსის მიხედვით და სესხებს(საკრედიტო ხაზებს) ახლავს პირობა, რომ ბანკი უფლებამოსილია პროცენტის დაფარვის შემდეგ მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიაქციოს ათვისებული საკრედიტო რესურსის დასაფარავად ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს. საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით, შესაბამისად ორივე სესხი(საკრედიტო ხაზი) კლასიფიცირებულ იქნა მოკლევადიან სესხად.

საწარმო ასევე სარგებლობს ბიზნეს ოვერდრაფტით 50 000 ლარის ოდენობით.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ქონებით და დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით. (შენიშვნა2).

დირექტორი ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი ბესარიონ აბესაძე

13. ფინანსური ინსტრუმენტები


ფინანსური აქტივები	2022	2020	2021
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	1085307	1452248	1272816
სულ	1085307	1452248	1272816
ფინანსური ვალდებულებები	2022	2020	2021
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	1752501	1227095	1369040
სულ	1752501	1227095	1369040

14. ამონაგები

ამონაგები	2022	2020	2021
საქონლის გაყიდვა	32065969	21006197	25919194
ამონაგები მომსახურეობიდან	108605	27722	51801
სულ	32,174,574	21,033,919	25,970,995

15. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2022	2020	2021
უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატ. ფას. საბაზრო ფასი	1637	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	638472	330370	390152
სულ	640109	330370	390152


 დირექტორი ----- ვახტანგ ქარელი

 ფინანსური მენეჯერი ----- ბესარიონ აბესაძე


16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	2022	2020	2021
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	76438	42338	65895
ძირითადი საშვალეების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		5293	0
მარაგების გაუფასურება	39021	2657	2077
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	0	9245	0

17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა

	2022	2020	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	112367		91630
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	4115	113931	18928

დირექტორი



ვახტანგ ქარელი

ფინანსური მენეჯერი



ბესარიონ აბესაძე

18. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2022	2020	2021
ამირტიზირებული ღირებულებით შეფასებული ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-51672	-66134	-59682
სულ	-44649	-66134	-59682
ფინანსური შემოსავალი	2022	2020	2021
ამირტიზირებული ღირებულებით შეფასებულ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	2458	8652	5438
სულ	7576	8652	5438
ნეტო ფინანსური დანახარჯები	-37073	-57482	-54244

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია დავით ყაზაიშვილი.

სესხები, რომელთა ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 942407 ლარის ეკვივალენტს, ნაწილობრივ (სოლიდარული თავდები) უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის მიწოდება:

2022	2020	2021
23542	3468	9257

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

დირექტორი ვახტანგ ქარელი
 ფინანსური მენეჯერი ბესარიონ აბესაძე

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 7)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2022	2020	2021
მაკონტროლებელი მხარე	63257	54716	61137
სულ	63257	54716	61137

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2020	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	1036037	298975	452062
სულ	1036037	298975	452062

20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა და გაცა დივიდენდი 2383270 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის მიერ მოხდა სესხების აღება 1268223 ლარის ოდენობით და სესხების დაფარვა 942407 ლარის ოდენობით.

დირექტორი ----- ვახტანგ ქარელი
ფინანსური მენეჯერი ----- ბესარიონ აბესაძე